განკარგულება:**g-81.81222504**
თარიღი:**07/09/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №45

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის №22 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

---------- საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა :

მუხლი 1

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ „ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის №22 განკარგულებაში შეტანილი იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:(დანართი №1 თან ერთვის)

მუხლი 2

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი